

ონლაინ შეჯიბრება მეცნიერების თასზე

შინაარსი

შეჯიბრების შესახებ	1
სტუდენტების ჩართულობა.....	2
შეჯიბრების მოკლე წინაისტორია.....	3
შეჯიბრების მონაწილეები	3
შეჯიბრების ჩატარების ეტაპები	4

შეჯიბრების შესახებ

თსუ მეცნიერების თასის მიზანია გააცნოს საშუალო სკოლების უფროსკლასელებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური გარემო, დაინტერესოს მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეები უნივერსიტეტით, კერძოდ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტით.

საქართველოში 73 უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი და კოლეჯია. არსებული კონკურენციის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარიზაციას აბიტურიენტებს შორის და მათი საუკეთესო ნაწილის მოზიდვას.

შეჯიბრება თსუ მეცნიერების თასზე ტარდება 2015 წლიდან, ონლაინ ფორმით, ვირტუალური სასწავლო გარემო Moodle-ის გამოყენებით. მსგავსი ღონისძიებების ჩატარება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეხმარება სკოლის მოსწავლეებს ახალ ტექნოლოგიების გაცნობაში, ცოდნის დონის ამაღლებასა და ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენაში.

თსუ მეცნიერების თასის ერთ-ერთი მხარდამჭერია ტემპუსის პროექტი ARMAZEG. შეჯიბრებაზე ტესტების მომზადებაზე დაკავებულია თითო ადამიანი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა დეპარტამენტიდან. შერჩეული პედაგოგები ამავე დროს იმუშავენ ტემპუსის პროექტ ARMAZEG-ის ფარგლებში შექმნილ ელექტრონული სწავლების ცენტრში.

შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის წევრები არიან: რამაზ ბოჭორიშვილი, რუსუდან ინწკირველი (თავმჯდომარე), ნინო ტყეშელაშვილი (ადმინისტრატორი), თინათინ დავითაშვილი, ხოლო პედაგოგები საგნების მიხედვით: დალი ნიკოლაიშვილი (გეოგრაფია), თენგიზ კოპალიანი (მათემატიკა), მაგდა ალანია (ბიოლოგია), ელიზა მარქარაშვილი (ქიმია), თამარ ჭელიძე (ფიზიკა), მარიამ ახალკაციშვილი (გეოლოგია) და ცისმარი გავაშელი (ელექტრონიკა).

2014 წლის 10-17 ნოემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა „მეცნიერებისა და ინოვაციების კვირა 2015“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კერძოდ კი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მრავალი საინტერესო აქტივობით წარსდგა ამ ღონისძიებაზე. სწორედ მეცნიერებისა და ინოვაციების კვირის ფარგლებში ჩატარდა თსუ მეცნიერების თასის შესარჩევი ტური (14 ნოემბერი, 2015 წ.).

ბრძოლა თასისათვის რამდენიმე ტურად გაგრძელდა: მეოთხედფინალი (2015 წლის 12 დეკემბერი), ნახევარფინალი (2016 წლის 23 იანვარი) და ფინალი (2016 წლის 27 თებერვალი). ყველა

ტური ელექტრონული ფორმით ჩატარდა: პირველი სამი ტური - დისტანციურად, ხოლო ფინალური ტური ჩატარდა ე.წ. დასწრებული ფორმით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერებით სპეციალურად აღჭურვილ ერთ-ერთ დარბაზში.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ქ.თბილისისა და საქართველოს რეგიონების საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეები. თითო სკოლიდან მონაწილეობდა მხოლოდ ერთი გუნდი, გუნდი შედგებოდა 6 მოსწავლისგან და ჰყავდა კაპიტანი.

ფინალურ ტურში გამარჯვებული სკოლებისთვის დაწესებული იყო შესაბამისი წარწერით დამშვენებული ე.წ. „მეცნიერების თასი“, ასევე სამახსოვრო საჩუქრები თსუ-სგან და სერტიფიკატები. თასი გარდამავალი არ არის და დარჩება სკოლას. გარდა ამისა დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები. მათ შორის აღსანიშნავია გამარჯვებული გუნდის ყველა წევრისთვის სანდიეგოს უნივერსიტეტი-თსუ-ს მიერ დაწესებული 25%-იანი გრანტი, თუ ისინი ჩაირიცხებიან შესაბამის სასწავლო პროგრამებზე.



სხვა პრიზები

1. ეკოხედვის სამახსოვრო საჩუქრები; გარდა ამისა, გამარჯვებული პირველი 6 გუნდი მიიწვიეს ეკოხედვის ტელეგადაცემაში, სადაც ჩატარდება ვიქტორინა. გამარჯვებულ გუნდს დაუფინანსებენ საზაფხულო ბანაკში მონაწილეობას.
2. კურსდამთავრებულის პრიზი – კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის 1983 წლის კურსდამთავრებულის მაია მახარაშვილის წიგნი "უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი", რომლის პრეზენტაცია ფინალურ ტურამდე ერთი კვირით ადრე მოეწყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში. წიგნი ფანტასტიკური ჟანრისაა, პოპულარულად არის აღწერილი ზოგიერთი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემა. თუ ახალგაზრდები მეცნიერების თანამედროვე დარგებს წარმატებით დაეუფლებიან, დღევანდელი ფანტასტიკა ხვალ რეალობად შეიძლება აქციონ!
წიგნის ავტორმა ახალგაზრდებს საქართველოში ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებისაკენ მოუწოდა, რისთვისაც მათ სწორედ თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე – ერთდროულად მეცნიერების რამდენიმე დარგის გამაერთიანებელ ფაკულტეტზე უნდა გააკეთონ არჩევანი.
3. წარმატებულმა სტუდენტმა გიორგი მეშველიანმა, რომელსაც ფოთის მე-2 საშუალო სკოლის მასპინძლობა დაეკისრა, თავისი გუნდის წევრებს შესთავაზა გაწევრიანება ორგანიზაციაში, რომელიც საგანმანათლებლო-მემეცნიერებითი ღონისძიებებს ატარებს და დაპირდა თსუ-თან თანამშრომლობით ფოთში ჰაკათონის ჩატარებას.

სტუდენტების ჩართულობა

ფინალურ, დასწრებული ფორმით ჩატარებული ტურის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებიც. ფაკულტეტზეც 11 საბაკალავრო პროგრამაა. ფინალურ ტურში გადასულ 11 გამარჯვებული გუნდს მასპინძლობას თითოეული საბაკალავრო პროგრამის წარჩინებული სტუდენტი უწევდა, ამასთან სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულები შეჯიბრების ორგანიზებაში – რეგისტრაციიდან დაწყებული დაჯილდოებით დამთავრებული: ხვდებოდნენ

მონაწილეებს, აცნობდნენ უნივერსიტეტს, მოსწავლეთათვის სამახსოვროს ხდიდნენ ამ დღეს. კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების სტუდენტების მიერ მოეწყო საშეჯიბრო, საგულშემატკივრო და ცერემონიის დახურვის დარბაზები, შეჯიბრების ვიდეომონიტორინგი, ონლაინ ტრანსლიაცია. ფინალის საორგანიზაციო სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ მაგისტრატურის და სან-დიეგო საქართველოს სტუდენტებიც. საგულშემატკივრო დარბაზში მიმდინარეობდა გაცნობითი, საინფორმაციო, შემეცნებითი ხასიათის საუბრები. ფინალის ფოტოგაღწერა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე <https://picasaweb.google.com/117900568761631018227/2016?locked=true>.

შეჯიბრების მოკლე წინასიტორია

2008-2009 სასწავლო წლიდან თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტში ფუნქციონირება დაიწყო ნორჩ გეოგრაფთა სკოლამ, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებებს ატარებდა თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ეგიდით. მათ შორის იყო გეოვიქტორინა (გეოგრაფიული ვიქტორინა). ვიქტორინის მიზანი იყო გეოგრაფიის პოპულარიზაცია და მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეთა მოზიდვა უნივერსიტეტში.

ვიქტორინა ტარდებოდა წელიწადში 2-ჯერ VI-XI კლასების მოსწავლეებისათვის რამდენიმე ტურად. გეოვიქტორინა ტარდებოდა მოსწავლეთა ასაკობრივი დიფერენციის შესაბამისად 2 ან 3 ნაკადად. მოსწავლეებს პასუხი უნდა გაეცათ 15 შეკითხვაზე. შეკითხვის სირთულის შესაბამისად განსხვავებული იყო მოფიქრების დრო და შეფასების ქულები.

ვიქტორინა ტარდებოდა გუნდური პრინციპით. თითოეული სკოლიდან მონაწილეობის მიღება შეეძლო მხოლოდ ერთ გუნდს 6 მოსწავლის შემადგენლობით. თითოეულ გუნდს ჰქონდა სახელი და ჰყავდა კაპიტანი.


2012 წლიდან დაიწყო ვიქტორინის ჩატარება თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ტესტირება თავდაპირველად ჩატარდა 5 სასკოლო საგანში - გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა და მათემატიკა ერთ ტურად, მაგრამ შემდგომ დაემატა შესარჩევი, ნახევრადფინალური და ფინალური ეტაპები.

შეკითხვების რაოდენობა კვლავ 15 იყო, სირთულის შესაბამისად განსხვავებული იყო მოფიქრების დრო და შეფასების ქულები. თითოეული საგნიდან დასმული იყო 3 შეკითხვა. საგნების პარიტეტის დაცვის მიზნით, ქულათა ჯამი თითოეული საგნიდან ფასდებოდა 10 ქულით, ე.ი. ქულათა საერთო ჯამი იყო 50. სწორი, მაგრამ არასრულყოფილი პასუხის შემთხვევაში გუნდს ენიჭებოდა გარკვეული ქულა. თანაბარი ქულების შემთხვევაში ტარდებოდა ბლიცტურები. ყველა მაღალი ქულის მქონე გუნდს გადაეცემოდა შემდგომ ეტაპზე გადასვლის საგზური. მოგვიანებით ეს სისტემა შეიცვალა.

2014 წლიდან 15+3 შეკითხვა დაინერგა. აქედან 15 შეკითხვა დარგობრივი იყო, ხოლო 3 -თსუ-სა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შესახებ.

შეჯიბრების მონაწილეები


შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან სულ 61 სკოლა დარეგისტრირდა. ზოგიერთი რეგიონიდან 2-3 სკოლა დარეგისტრირდა (სხვადასხვა სოფლებიდან). სკოლების 52% - თბილისიდან (32 სკოლა), ხოლო 48% - რეგიონებიდან (29 სკოლა). მათ შორის თელავი, თერჯოლა, თიანეთი, ტყიბული, წყალტუბო, ზესტაფონი, ჭიათურა, დუშეთი, გორი, ხაშური, ხონი, ფოთი, ქარელი, ქუთაისი, რუსთავი, საჩხერე, საგარეჯო, სამტრედია, სურამი და სხვა.



ნახ.1. მონაწილე სკოლები

შეჯიბრების ჩატარების ეტაპები

- პირველ ეტაპზე თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელშეწყობით, კერძოდ, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსის შოთა ბარბაქაძის უშუალო დახმარებით მოხდა ვიტრუალური სასწავლო გარემოს Moodle-ის დაინსტალება სპეციალურად მეცნიერების თასის ტურების ჩატარებისათვის (<http://e-sciencecup.tsu.ge/>)



ნახ.2. თსუ მეცნიერების თასის მთავარი გვერდი Moodle-ში - სკრინშოტი



ნახ.3. შესარჩევი ტურის ტესტები - Moodle-ის გვერდის სკრინშოტი

- საშუალო სკოლებს დაეგზავნათ ელექტრონული წერილები (სიაში დაახლოებით 200 სკოლა იყო) და ეთხოვათ მონაწილეობის დადასტურება. მონაწილეობის მსურველებმა გამოაგზავნეს სკოლის დირექტორის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული წერილები გუნდის წევრთა სიის, გუნდის კაპიტანის და საკონტაქტო პირის მითითებით.

- გუნდების ოფიციალურ რეგისტრაციის (წერილი სკოლიდან) პარალელურად მიმდინარეობდა ელექტრონული რეგისტრაციაც (google-ის ფორმით)

https://docs.google.com/a/tsu.ge/forms/d/1hvb3Ybm4Wkwr8tX2H_DLXgdFEOAtR8aVXdIm1Q0IOs/viewform.

განაცხადი ვიქტორინაში მონაწილეობის შესახებ

მონაწილეობის სურვილს შემთხვევაში დარეგისტრირდით 2015 წლის 20 ოქტომბრამდე

დამატებითი ინფორმაცია https://www.tsu.ge/ge/faculties/science/_wpfpofnqmqm4qr/

შეყოფიერებითი facebook – ზე

საკონტაქტო ტელეფონი – 229 08 36

* Required

ქალი/დაბა *

სკოლის დასახელება *

სოფლის სკოლებისთვის – სოფ. მარტვილის საჯარო სკოლა

სკოლის დირექტორი (გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი) *

პასუხისმგებელი პირი სკოლიდან (გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი)

საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა

გუნდის დასახელება *

გუნდის კაპიტანი (გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი) *

Submit

100% You made it.

Never submit passwords through Google Forms.

Powered by Google Forms

This form was created outside of your domain.
Report Abuse - Terms of Service - Additional Terms

ნახ. 4. Online სარეგისტრაციო ფორმა

- <http://e-sciencecup.tsu.ge> -ზე (Moodle -ში) შეიქმნა გუნდების account- ები და საკონტაქტო პირებს დაეგზავნათ სისტემაში შესასვლელი username, password
- შეიქმნა სავარჯიშო კურსი და მონაწილე გუნდებს ინსტრუქციასთან ერთად დაეგზავნათ ელექტრონულ ფოსტაზე.
- პერიოდულად მოწმდებოდა გუნდების აქტივობები და დაუმთავრებელი დავალებების, შეცდომების შესახებ სმს-ები ეგზავნებოდა საკონტაქტო პირს ან/და გუნდის კაპიტანს მობილურ ტელეფონზე.
- ტურის წინა დღეს ჩატარდა მზადყოფნის გამოკითხვა. გამოკითხვაში იყო შეკითხვები ტერიტორიულად საიდან ჩაერთვებიან (სახლიდან, სკოლიდან, ა.შ.) შეჯიბრებაში, როგორ გააშუქებენ შეჯიბრების მიმდინარეობას (სკოლის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები, ა.შ.) და სხვა.
- ინფორმაცია ასევე მიეწოდებოდათ Moodle-ის სიახლეთა ფორუმზე, სადაც დამატებით ჩართული იყო რეჟიმი - ელექტრონულ ფოსტაზე დაგზავნა.
- შეჯიბრების დღეს მონაწილეებს ეგზავნებოდათ სმს-ები
 - a. დაწყებამდე ერთი საათით ადრე
 - b. დაწყებამდე 5 წუთით ადრე, წარმატებები უსურვა დეკანმა
 - c. დამთავრებამდე 5 წუთით ადრე
 - d. დასრულებიდან 1 საათის შემდეგ შედეგების ატვირთვის საცნობებლად.
- ფინალური ტურისთვის წინასწარ მომზადდა ბლიცტურის შეკითხვები იმ შემთხვევისთვის, თუ რამოდენიმე გუნდი თანაბარი ქულებით დამთავრებდა ტურს.

შეჯიბრების შეკითხვები მოცემული იყო სხვადასხვა ტიპის ტესტების საშუალებით, ელექტრონული ფორმით. თითოეულ ტურში ტესტები დაყოფილი იყო 8 ბლოკად. მათ შორის იყო ტესტები გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, გეოლოგიის და ელექტრონიკიდან. გარდა ამისა, მოსწავლეებს უწევთ პასუხების გაცემა შეკითხვებზე თსუ-ს შესახებ და სან-დიეგოს უნივერსიტეტი-თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივ საბაკალავრო პროგრამების შესახებ. თითოეულ ბლოკში 3-3 შეკითხვა იყო, მოფიქრების დრო კი - საშუალოდ 15-15 წუთი.

ვირტუალური სასწავლო გარემო საშუალებას აძლევს შეჯიბრების მონაწილეებს ტესტის დამთავრებისთანავე იხილონ სწორი პასუხები და მოპოვებული ქულები. ცალკეული ბლოკის შეკითხვებზე მაქსიმალური ქულის მოპოვების შემთხვევაში გუნდს ავტომატურად ენიჭება სპეციალური ელექტრონული ჯილდო, რომელიც აისახება გუნდის ვებ-გვერდზე.

ვიქტორინა_2015 ფინალი: Manage badges

Number of badges available: 9

Name	Badge status	Criteria	Recipients	Actions
ბიოლოგია ფინალი	Available to users	• Complete: "Quiz - ტესტი ბიოლოგიაში"	7	
გეოგრაფია ფინალი	Available to users	• Complete: "Quiz - ტესტი გეოგრაფიაში"	11	
გეოლოგია ფინალი	Available to users	• Complete: "Quiz - ტესტი გეოლოგიაში"	3	
ელექტრონიკა ფინალი	Available to users	• Complete: "Quiz - ტესტი ელექტრონიკაში"	10	
თსუ-ს შესახებ ფინალი	Available to users	• Complete: "Quiz - ტესტი თსუ-ს შესახებ"	0	
მათემატიკა ფინალი	Available to users	• Complete: "Quiz - ტესტი მათემატიკაში"	0	
სანდიეგო - თსუ-ს შესახებ ფინალი	Available to users	• Complete: "Quiz - ტესტი ტესტი თსუ-სანდიეგოს უნივერსიტეტის პროგრამების შესახებ"	5	
ფიზიკა ფინალი	Available to users	• Complete: "Quiz - ტესტი ფიზიკაში"	1	
ქიმია ფინალი	Available to users	• Complete: "Quiz - ტესტი ქიმიაში"	5	


ნახ. 5. შეჯიბრების ჯილდოები - Moodle-ის გვერდის სკრინშოტი

„ვიქტორინა მეცნიერების თასზე“ შესარჩევი ტური ჩატარდა შაბათს 14 ნოემბერს 12.00 სთ-ზე. მეოთხედფინალში გადავიდნენ შემდეგი გუნდები (მაქსიმალური ქულა 27):


მეოთხედფინალში გადასული გუნდები (მაქსიმალური ქულა 27)

ობერონი	თბილისი	ევროპული სკოლა	24
სიგმა	თბილისი	დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი	23.83
ბინული	თბილისი	კლასიკური გიმნაზია	23.67
პირველები	საგარეჯო	სსიპ ქალაქ საგარეჯოს #1 საჯარო სკოლა	23.67
მნათობი	გორი	ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზია	23.5
ჯიელსი	თბილისი	შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯიელსი	23
ფაზისი	ფოთი	სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ფოთის N2 საჯარო სკოლა	21.33

პრომეთე	თბილისი	ს.პ.ს."ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე"	20.5
ითხვისი2	ჭიათურა	სოფელ ითხვისის # 2 საჯარო სკოლა	20.17
ბაქსვუდი	თბილისი	შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი"	20
ლომისი	თბილისი	გლდანი-ნამალადევი	20
აია-GESS	თბილისი	სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს	19.5
ელექტრონი	ხონი	ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზია	19.42
შავნაბადა	თბილისი	დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა“	19.33
აცეტაბულარია	თბილისი	71- საჯარო სკოლა	18.83
წამი	თბილისი	შპს „კანდიდი" საშუალო სკოლა	18.83
ნატურალისტები	თბილისი	ბრიტანულ-ქართული აკადემია	18.17
კვანტი	თბილისი	სსიპ მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის N41 საჯარო სკოლა	18
მჭევრი	თბილისი	შ.პ.ს "მჭევრი", დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლა	18
ნეონი	ქუთაისი	29-ე საჯ.სკოლა	17.83
ცოდნის ჯვაროსნები	თბილისი	სსიპ ქალქ თბილისის N141 საჯარო სკოლა	17.75
ინდიგო	საჩხერე	კორბოულის N 2 საჯარო სკოლა	17.5
ბირთვი	ტყიბული	სოფ. ორპირის საჯარო სკოლა	17.33
მწვანე რეინჯერები	თბილისი	24 საჯარო სკოლა	16.75
ტორნადო	ტყიბული	სოფ. კურსების საჯარო სკოლა	16.58
ნიუტონის ვაშლები	თბილისი	ნიუტონის თავისუფალი სკოლა	16.5
სიმები	საჩხერე	სსიპ სოფ,სხვიტორი საჯ.სკოლა	16.33



ნახ.6. შესარჩევი ტური, ქულების განაწილება საგნების მიხედვით




ნახ.7. მეოთხედფინალი, ქულების განაწილება საგნების მიხედვით

მეოთხედფინალური ტური ჩატარდა შაბათს, 12 დეკემბერს, 14.00 სთ-ზე. ნახევარფინალში გადავიდნენ გუნდები, რომელთაც მეოთხედფინალში დააგროვეს ჯამური ქულის 60% და მეტი.

ნახევარფინალური ტური გაიმართა 2016 წლის 23 იანვარს შაბათს, 13.00 სთ (Online). ნახევარფინალურ ტურში გაიმარჯვეს და ფინალში გადავიდნენ გუნდები, რომელთაც დააგროვეს ჯამური ქულის 70% და მეტი.

ნახევარფინალში გადასული გუნდები (მაქსიმალური ქულა 27)

ჯიელსი	თბილისი	შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯიელსი	24
სიგმა	თბილისი	დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი	23
ობერონი	თბილისი	ევროპული სკოლა	22
პრომეთე	თბილისი	შ.პ.ს."ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე"	22
პირველები	საგარეჯო	სსიპ ქალაქ საგარეჯოს #1 საჯარო სკოლა	21,33
ნიუტონის ვაშლები	თბილისი	ნიუტონის თავისუფალი სკოლა	21
ბაქსვუდი	თბილისი	შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისი"	20,75
მწვანე რეინჯერები	თბილისი	24 საჯარო სკოლა	20,75
ბინული	თბილისი	კლასიკური გიმნაზია	20
ნატურალისტები	თბილისი	ბრიტანულ-ქართული აკადემია	19,67
ფაზისი	ფოთი	სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ფოთის N2 საჯარო სკოლა	19




ნახ.8. ნახევარწინალი, ქულების განაწილება საგნების მიხედვით

ფინალური ტური ჩატარდა 2016 წლის 27 თებერვალს 13.00 სთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში. პირველ ადგილზე გავიდა გუნდი „პრომეთე“ 21.93 ქულით და მოიპოვა მეცნიერების თასი, მეორეზე ადგილი დაიკავა „სიგამა“ 21.04 ქულით, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა გუნდი „ბაქსვუდი“ 20,11 ქულით.

ფინალში გასული გუნდები (მაქსიმალური ქულა 27)

პრომეთე	თბილისი	ს.პ.ს. "ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე"	21.93
სიგმა	თბილისი	დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი	21.04
ბაქსვუდი	თბილისი	შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი"	20.11
ჯიელსი	თბილისი	შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯიელსი	20.02
ბინული	თბილისი	კლასიკური გიმნაზია	19.64
ფაზისი	ფოთი	სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ფოთის N2 საჯარო სკოლა	19.35
ნატურალისტები	თბილისი	ბრიტანულ-ქართული აკადემია	18.12
ნიუტონის ვაშლები	თბილისი	ნიუტონის თავისუფალი სკოლა	17.69
მწვანე რეინჯერები	თბილისი	24 საჯარო სკოლა	17.06
პირველები	საგარეჯო	სსიპ ქალაქ საგარეჯოს #1 საჯარო სკოლა	16.73
ობერონი	თბილისი	ევროპული სკოლა	15.26



ნახ.9. ფინალი, ქულების განაწილება საგნების მიხედვით



ნახ.10. ფინალში გამარჯვებული გუნდი „პრომეთე“ (ამავე დასახელების კერძო სკოლა, თბილისი)